საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთიულეთი

მთიულეთი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე აღმ. საქართველოს მთიანეთში. მოიცავს მდ. თეთრი (მთიულეთის) არაგვის ხეობას. მხარე იწყება ფასანაურიდან, თეთრი და შავი (გუდამაყრის) არაგვის შესართავიდან. ჩრდ-ით მ-ს ხევის ისტ.-ეთნოგრ. მხარისაგან ჯვრის უღელტეხილი გამოყოფს; აღმ-იდან ესაზღვრება გუდამაყარის რეგიონი, ისევე როგორც ფშავ-ხევსურეთი, ხშირად მ-თან ერთ კონტექსტში მოიხსენიება მთიულეთ-გუდამაყრად), დას-იდან - შიდა ქართლის მთიანი ნაწილი, ქსნის ხეობა (ისტ. ცხრაძმა), სამხრ-იდან კი - მცირე ეთნოგრაფ. ერთეული ხანდო (ხანდო მ-ში არ შედიოდა). დღევანდელი მ-ის ისტ.-ეთნოგრ. მხარე უფრო ადრინდელი ორი მხარის - ხადისა და ცხავატის - გაერთიანების შედეგადაა მიღებული, რაც XIV_XV სს. მიჯნაზე დასტურდება, თუმცა „ძეგლი ერისთავთაში“ (XIV-XV სს.) თეთრი არაგვის ხეობაში მოსახლე მთიელთა ხადელებად და ცხავატელებად მოხსენიება კვლავ გრძელდება. ისინი ზოგჯერ ერთადაც („...ადელცხავატელნი“) არიან მოხსენიებული. ცხავატი თეთრი არაგვიდან ხადისხევის შეერთების ადგილამდე, სოფ. ქვეშეთამდე გრძელდებოდა, ქვეშეთს ზემოთ კი ხადა იყო. მ-ში, თეთრი არაგვის ხეობის სათავეში, კიდევ ერთი მცირე გეოგრ. ერთეული - ღუდა არსებობდა, რ-შიც ხუთი „მთური სოფელი“ შედიოდა (XVIII ს. I ნახ-ში ღუდაში მაღრან-დვალეთიდან ოსები გადმოსახლდნენ).

ხადასა და ცხავატს, როგორც დამოუკიდებელ ისტ.-ეთნოგრ. ერთეულებს, თავიანთი სალოცავები ჰქონდათ. მ-ის ერთიანი ერთეულის წარმოქმნის შემდეგ მათ ეს სალოცავები შეინარჩუნეს. ხადელებისა და ხადაში შემავალ სოფელთა და გვართა საერთო გამაერთიანებელი სალოცავი იყო ხადიჯვარი, ანუ ხადის თორმეწამე, ცხავატელები კი ნასოფლარ ზამთრეულთაში მდებარე ცეცხლისჯვარს (ახლანდ. ნადიბანის ზევით, მთაზე) ეყმობოდნენ, სადაც ე. წ. სათემო სახლში მთელი თემი (ცხავატის) იკრიბებოდა და ღამეს ათევდა. ღუდაში მდებარეობდა ასევე მთელი მ-ის სალოცავი - ღუდას ყველაწმიდა

(შესთხოვდნენ შვილიერებას და ბავშვების მფარველობას). ლომისა კი იყო მ-ის გამაერთიანებელი სალოცავი, რ-საც ქსნისხეველებიც ეყმობოდნენ.

გადმოცემის თანახმად, მთიულეთში ქრისტიანობა იქადაგა ქართველთა გამანათლებელმა წმ. ნინომ. IX ს. 50-იან წლებში არაბთა ლაშქარმა ბუღა თურქის სარდლობით ცხვატამდე მიაღწია, მაგრამ მთიულებმა მტერი უკუაქციეს. მ. სტრატეგიული მდებარეობის გამო თავიდანვე იქცევდა სამეფო ხელისუფლების ყურადღებას. ადრინდ. ფეოდ. ხანაში იგი "სახასო ქვეყანა" იყო. XII ს. 90-იან წლებში მისი გამგებელი იყო ქართლის ამირთამირა აბულასანი, შემდეგ - მანდატურთუხუცესი ჭიაბერი. XIII ს. დასაწყისში, თამარის მეფობის ხანაში, მთიულები აქტიურად მონაწილეობდნენ ცენტრ. ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ფხოველებისა და დიდოელების დასამორჩილებლად მოწყობილ ლაშქრობაში. XIV ს. დასაწყისში მ. ქსნისა და არაგვის ერისთავთა ბრძოლის ასპარეზი გახდა; მეფე ვახტანგ III-ის დახმარებით ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი დაეუფლა მ-ის დიდ ნაწილს — მდ. თეთრი არაგვის მარჯვ. სანაპიროს ღუდადან ხანდომდე. შემდეგში ამ ტერიტორიას არაგვის ერისთავები განაგებდნენ. XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალემ აღმ. საქართველოს მთიანეთისთვის შეიმუშავა კანონთა კრებული - „ძეგლის დადება“, თუმცა აქ ჩვეულებითი სამართალიც მოქმედებდა. მ. 1743-მდე არაგვის საერისთავოში შედიოდა, შემდგომში კი საუფლისწულო მამული გახდა. აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ, 1804, მ-ში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ (იხ. მთიულეთის აჯანყება 1804).

მ-ზე გადიოდა ჩრდ. კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა, რ-იც არაგვის ხეობიდან თერგის ხეობაში (ხევში) გადადიოდა. ხევის ჩრდ-ით მდებარე კავკასიის კარით (იბერიის კარი, რ-საც ბოლოს დარიალი // დარიალანი უწოდეს) იკეტებოდა გზა ევრაზიის სივრცეში მოხეტიალე ნომადებისათვის (მომთაბარეებისათვის). ხადაში არსებობდა ციხისთავის ინ-ტიც, რ-საც კავკასიის კარისაკენ მიმავალი გზის კონტროლი ევალებოდა. დარიალისაკენ მიმავალი გზა ცხავატის გავლით ხადას თემზე გადიოდა, თუმცა ჩრდ-ით, ანუ ხევისაკენ ბილიკით გადასვლა ღუდიდანაც შეიძლებოდა. გზა თავდაპირველად თრუსოს ხეობის სოფ. აბანოში შედიოდა, იქიდან კი - ხევში. რუსეთის ხელისუფლების მიერ გაყვანილი საქართვ. სამხედრო გზა ძირითადად ძველ გზას მიუყვებოდა, თუმცა XIX ს. 10-იანი წლებიდან შავი არაგვის ხეობისკენ (გუდამაყარი), 1847-იდან კი - ხადის დიდველზე გადაინაცვლა, რის შემდეგაც მთიულებს, მოხევეებთან ერთად, ახალი ვალდებულება დაეკისრათ - გზის მოვლა-მოწესრიგება.

მ-ში, ისევე როგორც მთელი შიდა ქართლის მთიანეთში, თავდაცვითი კოშკების განსაკუთრებული ტიპი - ზურგიანი კოშკები იყო აგებული. ქვითა და დუღაბით, ასევე მშრალად ნაწყობი ლოდებით ნაგებ 4-5-6-სართულიან კოშკებს მთისკენ მიქცეული მომრგვალებული ზურგი (ზვავის ასასხლეტად) და კუთხოვანი ფასადი აქვთ. აქ გვხვდება ჰორიზონტალურსახურავიანი ოთხწახნაგოვანი და მრავალწახნაგოვანი ტიპის კოშკები. რადგან ასეთი კოშკები მასობრივად მ-ისთვის იყო დამახასიათებელი, მათ მთიულურ

კოშკებსაც უწოდებენ. მთიულურ-მოხეური კოშკი ჩარდახიანია - ციხის ზედა სართულს, ოთხი მხრივ, საბრძოლო დანიშნულების თითო ჩარდახი აქვს მიშენებული. ისინი ძირითადად ადრეფეოდ. ხანაში (X ს. ჩათვლით) არის აგებული. მ-ის მსგავსი კოშკები ფშავსა და ხევშიც იყო გავრცელებული (როგორც ბოლო დროს დადასტურდა, ადრე შუა საუკუნეების ზურგიანი კოშკები ტაო-კლარჯეთშიც არსებობდა), მთიულური კოშკები (ძირითადად ხადაში, სადაც 60 კოშკია) ეკუთვნოდა სახელმწიფოსაც (მაგ., ხადაში გიორგი ბრწყინვალეს ორი ციხისთავი ჰყავდა), სასოფლო თემსაც და ცალკეულ გვარებსაც. იყო საკომო (გვარის დანაყოფთა) კოშკებიც, რ-ებიც „ხატის“ ფუნქციასაც ითავსებდნენ. ხალხის რწმენით, ციხე-კოშკებში არსებული სალოცავები (ხატები) ადამიანებთან ერთად იბრძოდნენ შემოსული მტრის წინააღმდეგ. მ-ში (როგორც ხადაში, ისე ცხავატში) ხატ-სალოცავებს საკუთარი მიწა ჰქონდათ.

XIX ს-ში მ-ში გავრცელებული იყო მთური ტიპის საცხოვრებელი სახლი, რ-იც სამეცნ. ლიტ-რაში „მთიულური ქვითკირის“ სახელითაა ცნობილი. მას ვერტიკალური კონსტრუქცია ჰქონდა და საცხოვრებელსა და სამეურნეოსთან ერთად თავდაცვითი ფუნქციაც ეკისრებოდა _ აშენებული იყო ძნელად მისადგომ ადგილზე. პირველი სართული საქონლის სადგომი იყო, მეორე - საცხოვრებელი (საჯალაბო), ხოლო მესამე - კალო, სადაც მარცვლეულს ლეწავდნენ. ასეთ სახლებში, ჩვეულებრივ, დიდი ოჯახი (40-50 სულამდე) ცხოვრობდა. მ-ში სოფლები სამხრ. და სამხრ.-აღმ. ფერდობებზე იყო განლაგებული. ყანები სოფლის ქვემოთ ან მის გასწვრივ მდებარეობდა, ხოლო სათიბები და საძოვრები - ზემოთ, მთაში. მთის საზაფხულო საძოვრებზე მთიულებს ჰქონდათ ქოხები, რ-თაც საზაფხულო ან სამთო ქოხს უწოდებდნენ. ტერიტ. თვალსაზრისით გაერთიანებული რამდენიმე სოფელი მთის ან სათიბ-საძოვრების ირგვლივ იყო თავმოყრილი.

როგორც მთიანეთის სხვა მხარეში, მ-შიც განვითარებული იყო მესაქონლეობა (ეფუძნებოდა ძირითადად სამეურნეო ბაზის პარალელურ საზაფხულო და საზამთრო ბაზებს და ეწოდებოდა „ორხელაობა“) და მეცხვარეობა. მთიულები ცხვარს ზამთრობით თბილისის მახლობლად, დიღმის ველზე, აგრეთვე სოფ. აღაიანთან აბალახებდნენ, ხოლო ზაფხულობით - თავიანთ მთებში. ისინი ყიდდნენ ყველს, ერბოს, მატყლს და ცხვრის ტყავს, ამზადებდნენ მატყლის უხეშ ქსოვილს, თელავდნენ ნაბდებს, მოჰყავდათ კანაფი, რ-ისგანაც გრეხდნენ თოკს. განვითარებული იყო ასევე ხელოსნობა, მატყლისა და რქის დამუშავება, მისდევდნენ მიწათმოქმედებასაც. სახვნელი მიწა კერძო, ტყე კი სასოფლო საკუთრებას წარმოადგენდა. კომლს შეეძლო ახოს აღება (რაც მიწის სიმცირითა და სიმწირით იყო განპირობებული) და ამ გზით მიწის ნაკვეთის საკუთრებად ქცევა. არსებობდა სასოფლო და სათემო მიწის მფლობელობაც. მ-ში დადასტურებულია ე. წ. უკედლო ტერასები - ლარები, რ-ებიც საფეხურების სახით იყო განლაგებული ხეობის ძნელად მისადგომ ფერდობებზე. ასეთ ლარებზე ჰქონდათ ყანები ხადაში. პურეულს ბარშიც ყიდულობდნენ.

მ-ში შემორჩენილია ფეოდ. ხანის მატერ. კულტურის მრავალი ძეგლი (მაგ., X ს. ქოროღოს ხუროთმოძღვრული კომპლექსი). ადმ.-ტერ. დაყოფით მ. დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. "საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული," 1975; [ტ.] 5; გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., გ ი ო რ გ ა ძ ე მ., ს უ რ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი მ., ჭ უ რ ღ უ ლ ი ა ლ., ხადის ხეობა, თბ., 1983; ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002; თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი რ., საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები), თბ., 2002; მ ი ს ი ვ ე , მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, «მაცნე ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია» 1985, #2; მ ი ს ი ვ ე , საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017; მ ი ს ი ვ ე , ხადა. ისტორიული და ეთნოკულტურული საკითხები, თბ., 2002; მ ი ს ი ვ ე , მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ჭართლის ეთნოგრაფიული მასალები, თბ., 2020; კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ნაწ. 3. მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1971; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., მ თ ი უ ლ ე თ ი , ტფ., 1930; რ უ ხ ა ძ ე ჯ. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, თბ., 2021; ხ ა რ ა ძ ე რ., რ ო ბ ა ქ ი ძ ე ა., მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

ჯ. გვასალია

რ. თოფჩიშვილი